



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი № D6: ვიზა გერმანიაში ხელმეორედ შესავლისათვის

ნოემბერი 2019

ხშირად დასმული შეკითხვები

გერმანიაში ხელმეორედ შესავლისათვის საჭირო ვიზასთან დაკავშირებით

1. ჩემს ვადაგასულ პასპორტში ჩაკრულია ჩემი უვადო ვიზა. შემძლია თუ არა საელჩოში ეს ვიზა ახალ პასპორტში გადავატანინო ან მჭირდება თუ არა ახალ პასპორტში ვიზა?

იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მოქმედი ვიზა ძველი პასპორტის გაუქმების შედეგად არ დაზიანებულა, თქვენ როგორც წესი ძველ პასპორტთან ერთად ახალი პასპორტით უპრობლემოდ შეხვიდეთ გერმანიაში. იგივე წესი მოქმედებს, თუ თქვენ უკვე გაქვთ ბინადრობის ელექტრონული მოწმობა (პლასტიკური ბარათი).

ასეთ შემთხვევებში გერმანიაში ხელმეორედ შესასვლელად ვიზის გაცემა არ არის საჭირო. ახალი პასპორტის შეკვეთისას შესაბამის სამსახურს უნდა სთხოვოთ, რომ მან გაუქმებული ძველი სრული პასპორტი უკან დაგიბრუნოთ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ვიზა დაკარგავს ძალას, თუ შესაბამისი გვერდები ძველი პასპორტისგან განცალკევდება.

გერმანიაში დაბრუნების შემეგ გთხოვთ მიმართოთ უცხოელთა მომსახურების სამსახურს (Ausländerbehörde) თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოთ ახალი ვიზის/ბინადრობის მოწმობის გაცემა.

2. მომპარეს პასპორტი, რომელშიც იყო ჩაკრული ვიზა. როგორ მოვიქცე?

თქვენ ჯერ უნდა დაამზადებინოთ ახალი პასპორტი. შემდეგ უნდა დაჯავშნოთ საბუთების შეტანის დრო გერმანიის საელჩოში თბილისში და გააკეთოთ განაცხადი გერმანიაში ხელმეორედ შესვლასთან (Wiedereinreise) დაკავშირებით. სასწრაფო შემთხვევებში დაუკავშირდით საელჩოს ელ. ფოსტის მისამართზე visa@tifl.diplo.de და ითხოვეთ საბუთების ურიგოდ შეტანა. ამ შემთხვევაში უნდა დაასაბუთოთ გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა.

საბუთების შემოტანისას უნდა წარმოადგინოთ ქვემოთ მოცემული ყველა საბუთი. რადგან ვიზის გაცემის პროცედურაში საჭიროა უცხოელთა მომსახურების გერმანიის იმ სამსახურის ჩართვა, რომელიც თქვენ საცხოვრებელ ადგილს კურირებს, გირჩევთ განაცხადის შემოტანამდე დაუკავშირდეთ მას და სთხოვოთ ე.წ. წინასწარი თანხმობის გაცემა. თუმცა უცხოელთა მომსახურების

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

სამსახური არ არის ვალდებული, გასცეს ასეთი წინასწარი თანხმობა. ეს თავად აღნიშნული სამსახურის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

3. ჩემს ვიზას/ბინადრობის უფლებას გაუვიდა მოქმედების ვადა. როგორ მოვიქცე?

ამ შემთხვევაში უნდა დაჯავშნოთ საბუთების შეტანის დრო გერმანიის საელჩოში თბილისში და გააკეთოთ განაცხადი გერმანიაში ხელმეორედ შესვლასთან (Wiedereinreise) დაკავშირებით. სასწრაფო შემთხვევებში დაუკავშირდით საელჩოს ელ. ფოსტის მისამართზე visa@tifl.diplo.de და ითხოვეთ საბუთების ურიგოდ შეტანა. ამ შემთხვევაში უნდა დაასაბუთოთ გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა.

საბუთების შემოტანისას უნდა წარმოადგინოთ ქვემოთ მოცემული ყველა საბუთი. რადგან ვიზის გაცემის პროცედურაში საჭიროა უცხოელთა მომსახურების გერმანიის იმ სამსახურის ჩართვა, რომელიც თქვენ საცხოვრებელ ადგილს კურირებს, გირჩევთ განაცხადის შემოტანამდე დაუკავშირდეთ მას და სთხოვოთ ე.წ. წინასწარი თანხმობის გაცემა. თუმცა უცხოელთა მომსახურების სამსახური არ არის ვალდებული, გასცეს ასეთი წინასწარი თანხმობა. ეს თავად აღნიშნული სამსახურის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

4. ბინადრობის ელექტრონული საბუთი გერმანიაში დამრჩა. როგორ მოვიქცე?

გთხოვთ ჯერ გაარკვიოთ, შესაძლებელია თუ არა გამოაგზავნინოთ გერმანიიდან აღნიშნული საბუთი. თუ ეს არ არის შესაძლებელი, მაშინ უნდა გაიაროთ იგივე პროცედურა, რომელიც მითითებულია მე-3 შეკითხვის პასუხში.

5. რამდენ ხანში მივიღებ ვიზას?

ზემოაღნიშნული წინასწარი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში ვიზის გაცემის პროცედურა როგორც წესი გრძელდება დაახლოებით ერთიდან სამ სამუშაო დღემდე. თქვენ შეგიძლიათ საბუთების შემოტანისას დატოვოთ საელჩოში პასპორტი.

თუ წინასწარი თანხმობა არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ უნდა დაველოდოთ უცხოელთა მომსახურების სამსახურის (Ausländerbehörde) პასუხს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვერ გაცემთ კონკრეტულ პასუხს ვიზის გაცემის პროცედურის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

ზოგადი ინფორმაცია

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად. უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ (მაგ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. იგივე სახის ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [საგანაცხადო ანკეტა](#);
- პირადად ხელმოწერილი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია [გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე](#);
- სამოგზაურო პასპორტი და მისი სურათიანი გვერდის ორი ასლი;
- მათთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე: საქართველოში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი საბუთი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- არსებობის შემთხვევაში: ძველი პასპორტის მონაცემთა გვერდების ასლი ან ბინადრობის მოწმობის ასლი.
- გერმანიაში თქვენი ლეგალურად ცხოვრების დამადასტურებელი საბუთები. მაგ.: რაგისტრაციის მოწმობა, ხელფასის ცნობები, სტუდენტის მოწმობა, სამედიცინო დაზღვევის ბარათი და სხვა.
- იმ შემთხვევაში თუ პასპორტი დაგეკარგადთ ან მოგპარეს: პოლიციის ოქმი საგნის დაკარგვასთან დაკავშირებით თარგმანთან ერთად.
- შესაბამის შემთხვევაში: დამატებითი დამადასტურებელი საბუთები და სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა (ვიზის გაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში პასპორტის გაცემამდე უნდა წარმოადგინოთ სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევის პოლისი, თუ მანამდე არ გაქვთ იგი წარმოდგენილი).

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზვით დაადასტუროთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტში: ანკეტა და განცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით.

მნიშვნელოვანი მითითებები:

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- წინასწარი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში ვიზის გაცემის პროცედურა როგორც წესი გრძელდება დაახლოებით ერთიდან სამ სამუშაო დღემდე. თუ წინასწარი თანხმობა არ იქნება წარმოდგენილი, მაშინ უნდა დაველოდოთ უცხოელთა მომსახურების სამსახურის პასუხს.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

ამიტომ ასეთ შემთხვევაში ვერ გაგცემთ კონკრეტულ პასუხს ვიზის გაცემის პროცედურის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

- გთხოვთ, არ მოგვმართოთ საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანის საფასური შეადგენს 75 ევროს (18 წლამდე - 37,50 ევროს) და გადახდილ უნდა იქნეს განაცხადის შემოტანისას იმ დღეს არსებული აქტუალური კურსით ლარში. საფასურის გადახდა სხვა ვალუტაში ან სადებეტო/საკრედიტო ბარათებით შეუძლებელია.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.